



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია
აკადემიური და წარმომადგენლობითი
სენატის 2013 წლის 25 იანვრის
№19 დადგენილებით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე.
4. სამსახურს შეიძლება ჰქონდეს სპეციალური ფორმა შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნებით.

მუხლი 2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ამოცანაა:
 - ა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა სასწავლო კორპუსში, ეზოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე;
 - ბ) უნივერსიტეტის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა;
 - გ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
 - დ) ორგანიზაციის ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში მოქმედება ბიზნესუწყვეტობის გეგმის შესაბამისად;
2. სამსახურის საქმიანობა ემყარება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვის, პიროვნების ღირსების პატივისცემის, ჰუმანურობის, დემოკრატიულობის და სამართლიანობის პრონციპებს.
3. სამსახურის თანამშრომელი მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს მოქმედებს ზოგადი ეთიკის ნორმების შესაბამისად.
4. სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის საკითხებში სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან.
5. სამსახურს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს განახორციელოს შემდეგი ფუნქციები:
 - ა) უნივერსიტეტის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არ დაუშვას უცხო პირი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ან სპეციალური საშვის გარეშე;

ბ) მოითხოვოს თანამშრომლების, სტუდენტების და უცხო პირების მხრიდან უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულება.

გ) გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები წესრიგის დამრღვევის მიმართ, თუ იგი არ ემორჩილება უნივერსიტეტის შინაგანაწესით და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობის პირებს და პოლიციის უახლოეს განყოფილებას.

დ) უზრუნველყოს სსმ/შშმ პირების დახმარება უნივერსიტეტის შენობაში შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილების საკითხში .

6. სამსახურის თანამშრომლებს ეკრძალებათ:

ა) დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანება, ან მის საქმიანობაში მონაწილეობა.

7. სამსახურის მიერ უნივერსიტეტის შენობების და ტერიტორიის დაცვა ხორციელდება:

ა) სტაციონარული ადგილებით;

ბ) დაცულ კორპუსზე სარეგისტრაციო ან სასაშვო რეჟიმის გამოყენებით(აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაიტოვოს პიროვნების დამადასტურებელი მოწმობა და ხელი მოაწერინოს რეგისტრაციის ჟურნალში);

გ) გარე და შიდა პერიმეტრის სამეთვალყურეო კამერებით;

დ) დაცვის სხვა ფორმებისა და მეთოდების ორგანიზაციით, ტექნიკურ საშუალებათა დანერგვით.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა.

1. სამსახურის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია: დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და დაცვის თანამშრომლები.

2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან შეთანხმებით. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს დაცვის თანამშრომელი ან რექტორის შესაბამისი ბრძანებით დანიშნული სხვა პირი.

3. სამსახურის უფროსი:

ა) კოორდინაციას უწევს და წარმართავს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას, პასუხისმგებელია მისი მუშაობის ეფექტურობაზე;

ბ) უზრუნველყოფს სამსახურის კოორდინირებულ მუშაობას უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და საჭიროებისამებრ საქართველოს ძალოვან სტრუქტურებთან.

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიმართავს დისციპლინურ საბჭოს პირადი შემადგენლობის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ზომების გამოყენების შესახებ და სტუდენტების მიერ დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში.

დ) ვიცე რექტორის წინაშე სვამს საკითხებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ;

ე) საჭიროების შემთხვევაში ატარებს სამსახურეობრივ მოკვლევას თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ვ) განიხილავს და ამტკიცებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის გეგმებს, აჯამებს და შესაბამის შეფასებას აძლევს მის მიერ გაწეულ საქმიანობას.

ზ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის აკადემიური და წამომადგენლობითი სენატის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
4. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და სამსახურის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა

1. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი:

1. 1. ვალდებულია:

ა) 09.00 საათზე გამოცხადდეს სამუშაოზე კვირაში 4 სამუშაო დღე, 8 საათიანი დატვირთვით, აქედან ერთი სამუშაო დღე -24 საათიანი დატვირთვით;

ბ) იყოს მოწესრიგებული, უნიფორმით;

გ) თან იქნოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

დ) ცვლაში მყოფ თანამშრომელთან ერთად შეამოწმოს სამეთვალყურეო კამერები, დაათვალიეროს კორპუსი: შეამოწმოს ბიბლიოთეკის, კომპიუტერული კლასების, ლაბორატორიების, კაბინეტების და სამუშაო ოთახების მდგომარეობა.

ე) შეამოწმოს სატელეფონო კავშირი, უნივერსიტეტის გარე და შიდა განათების გამართულად მუშაობა და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მოახდინოს დროული რეაგირება;

ვ) ჩაიბაროს კორპუსი, 09.30 საათზე, რის შესახებაც სათანადო ჩანაწერი გააკეთოს მიღება-ჩაბარების ჟურნალში;

ზ) შესაცვლელი თანამშრომლის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში მოახსენოს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს და იმოქმედოს მისი მითითებით.

თ) თანამშრომელს ევალება კარგად იცოდეს კორპუსში კაბინეტებისა და აუდიტორიების განლაგება და თავისებურებანი. დაიცვას მასზე მიმაგრებული კორპუსის ქონება დაზიანებისაგან, გაძარცვისაგან და ხანძრისაგან. პერიოდულად გააკეთოს შემოვლები კორპუსში და კორპუსის ირგვლივ, განსაკუთრებით ღამის საათებში;

ი) განუწყვეტლივ იმყოფებოდეს დასაცავ კორპუსში, სამეთვალყურეო კამერების და სასიგნალიზაციო მოწყობილობების მეშვეობით აკონტროლოს არსებული ვითარება და აღკვეთოს უნივერსიტეტის შინაგანაწესის ნებისმიერი დარღვევა, მათ შორის ალკოჰოლიანი სასმელების შემოტანა კორპუსში, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, არ დაუშვას კორპუსში რაიმე ინვენტარის ან ნივთის შემოტანა-გატანა ვიცე-რექტორის ნებართვის გარეშე.

კ) უზრუნველყოს კორპუსში ძირითადი და სათადარიგო გასასვლელების გამავლობა და აღმოფხვრას მათი ჩახერგვა სხვადასხვა სახეობის ინვენტარითა და მაკულატურით;

ლ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მუდმივად გამართულ მდგომარეობაში იქონიოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ, სახანძრო ონკანები, ცეცხლმაქრები და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები ;

მ) სამუშაო საათების დამთავრებისას მოახდინოს დათვალიერება ელექტრო განათების სრული გამორთვით, გარდა მორიგე განათებისა, რომელიც მუდმივად უნდა იყოს ჩართული;

ნ) ფანჯრების საკეტების, ლუქების დაზიანების ან ხანძრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინოს: უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პოლიციას, სახანძრო სამსახურს და სამსახურის სხვა თანამშრომლებთან ერთად მიიღოს ზომები დასაცავ ობიექტზე შეღწეული პირის

დასაკავებლად;

ო) კონკრეტული დარღვევის გამოვლენის შემდეგ შეადგინოს ოქმი დანიშნულებისამებრ წარსადგენად;

პ) საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეებს აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება.

ჟ) უზრუნველყოს სსმ/შშმ პირების დახმარება უნივერსიტეტის შენობაში შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილების საკითხში.

რ) შეასრულოს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებები.

1.2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს ეკრძალება:

ა) დამოუკიდებლად გახსნას ბოქლომები, კარები, ფანჯრები, მოხსნას საკეტები, პლომბები, ბეჭდები, გადაადგილოს სახანძრო ინვენტარი, ხანძარჩამქრობი პირველადი საშუალებები.

ბ) დაუშვას უცხო პირი დასაცავი კორპუსის ტერიტორიაზე საშვის ან რეგისტრაციის გარეშე.

გ) კორპუსის მიტოვება ან სამსახურიდან მოცდენა, მორიგეობის დროს ძილი, თვითნებურად მორიგეობის გაცვლა. დაცვისა და უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელს კორპუსის დატოვება შეუძლია სტიქიური უბედურების შემთხვევაში, როდესაც კორპუსში შემდგომი ყოფნა მის სიცოცხლეს ემუქრება. უეცარი ავადმყოფობის შემთხვევაში კორპუსის მიუტოვებლად უნდა აცნობოს ამის შესახებ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს და იმოქმედოს მისი მითითებით.